

ჭიათურა საპატარძლოებს „მარი გოლდი“-მ სადღეოფლო კაბები აჩუქა

მე-2 გვერდებზე



„საზოგადოებრივი ფონდოსკოპი“

ზურაბ ხაბეიშვილი:

„ქუთაისში არ არსებობს ქურა, ჩინი, სადარბაზო, სადაც ჩემი პაციენტები არ ცხოვრობდნენ“



მე-4 გვერდზე

ირაკლი კობახიძე: პრეზიდენტის არჩევის წესი იყო პოლიტიკური კომპრომისი და ის ძალაში რჩება

„ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური კომპრომისი და რჩება ძალაში, თუმცა, გავიმეორებ, რომ ჩემი აზრით, ინსტიტუციური, სამართლებრივი და პოლიტიკური კუთხით უმჯობესი იქნებოდა, რომ სუბიექტი ყოფილიყო პარლამენტი“, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის ახალი რედაქციის მიხედვით პრეზიდენტის არჩევის წესზე საუბრისას განუცხადა.

„ჩემი აზრით, გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს ის პროცედურა, რომელიც არის დადგენილი. მოგვხსენებთ, ეს პროცედურა ჩამოყალიბებულია პოლიტიკური კომპრომისის და კონსენსუსის ჩამოყალიბების სურვილით. საბოლოო ჯამში, პროცედურა არის ლეგიტიმური, რომელიც არის ასახული კონსტიტუციაში, თუმცა, მე პირადად მიმაჩნდა, რომ საპარლამენტო არჩევის წესი იქნებოდა უფრო სწორი ამ სისტემაში, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციით, თუმცა, საბოლოო ჯამში, ჩვენ ავწონდავით, რომელიც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური მხარეები ამ ყველაფრის და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არ არსებობს ასეთი ცვლილება კონსტიტუციურ კანონში.“

საუბარი იყო იმაზე, რომ გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომელიც აირჩევს საქართველოს პრეზიდენტს ნაცვლად 150 დეპუტატისა და ეს იქნება საარჩევნო კოლეგიის 300 წევრიც ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური კომპრომისი და ეს რჩება ძალაში. თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ინსტიტუციური კუთხით, სამართლებრივი კუთხით, პოლიტიკური კუთხით, რომ პარლამენტი ყოფილიყო სუბიექტი, თუმცა, კიდევ ერთხელ, ჩვენ ერთად ვიმსჯელებთ, განვიხილეთ ეს საკითხი და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დავტოვოთ ძალაში ის პროცედურა, რომელიც ჩამოყალიბებულია უკვე დამტკიცებულ ტექსტში“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.



ირაკლი კობახიძე

ემიგრანტი დედა: მე რომ ემიგრაციაში ვარ, ამაში ლომის წილი განათლებას სამინისტროს მიუძღვის...

გასულ კვირაში ქუთაისელი ემიგრანტი დედა, ჟურნალისტ ლელა თოლორაძეს მიერ განათლების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელისათვის გაგზავნილი ემოციურმა საჯარო წერილმა სრულიად სოციალური ქსელი და ინტერნეტმედია დაიპყრო. ის აცხადებს, რომ ქართველი დედების დიდი ნაწილი ემიგრაციაში ყოფნა დიდწილად საქართველოს განათლების სისტემაში არსებული პრობლემების, კორუფციისა და რეპეტიტორების ინსტიტუტის შედეგია.



მიხეილ ჩხენკელი



ლელა თოლორაძეა შვილებთან ერთად. 2017 წლის 15 სექტემბერი. ქუთაისი.

გთავაზობთ ნაწყვეტს ვრცელი ლია წერილიდან:

„ბატონო მინისტრო, ახლა აქ, იტალიის უკიდურეს სამხრეთში, ქალაქ რეჯო დი კალაბრიაში იტალიის დროით 14:07 საათია. ამ დროს არცერთი მოსწავლე არ არის სკოლაში, უკლებლივ ყველა მოსწავლე სახლშია, უკვე ნასადილები და დიდი ალბათობით დაძინებული, რადგან აქ 14:00-დან 16:00-მდე მკვდარი საათია... ამ დროს საქართველოში 17:07 საათია. ჩემი მონატრებული შვილი კი ჯერაც არ მისულა სახლში და იცით, რატომ?! იმიტომ, რომ გაცივების დასრულების შემდეგ პირდაპირ მასწავლებელთან მიდის. ერთთან კი არა, სულ მცირე ოთხთან. სახლში რომ მიდის, კარგა ხნის დამეპუტა... ასეა მისი თითქმის ყველა თანაკლასელი, პარალელკლასელი, თანასკოლელი, თანაქალაქელი და ზოგადად საქართველოს საჯარო სკოლების თითქმის ყველა დამამთავრებელი (და არა მარტო) კლასების მოსწავლეები.“

ჩემი შვილი მე-11 კლასის წარჩინებულ მოსწავლეს, მაგრამ სკოლაში მიღებული ცოდნით შიშობს საატესტატო გამოცდების ღირსეულად ჩაბარებას. სწორედ ამან გამხადა იძულებული, გადმოვხვეწილიყავი უცხო ქვეყანაში, რათა შემძლებოდა კერძო მასწავლებლებთან სწავლის საფასურის გადახდა. და ეს საფასური არც ისე მცირედი თანხაა, ყოველ შემთხვევაში, რეგიონში მომუშავე ჟურნალისტის შემოსავალს ბევრად აღემატება. ერთი საგნის მომზადება საატესტატო გამოცდისთვის 500 ლარია, ოთხი ასეთი საგანი, ზედ დამატებული უცხო ენები და მათემატიკა, რომლის საფუძვლიანი ცოდნა სამომავლიდ გაგვიადვილებს უნარების სწავლას... თვეში 400 ლარი მარტო მეტერთმეტე კლასში მყოფ ჩემს შვილს, მეორე შვილიც მყავს და ის მე-9 კლასში სწავლობს, მასაც აქვს ორი გამოცდა და უთქმელადც მიხვდებით, რომ ისიც ემზადება კერძო მასწავლებელთან. თითქმის 600 ლარი მჭირდება თვეში რომ პირნათელი ვიყო მასწავლებლებთან...“

ჩემი შვილი მე-11 კლასის წარჩინებულ მოსწავლეს, მაგრამ სკოლაში მიღებული ცოდნით შიშობს საატესტატო გამოცდების ღირსეულად ჩაბარებას. სწორედ ამან გამხადა იძულებული, გადმოვხვეწილიყავი უცხო ქვეყანაში, რათა შემძლებოდა კერძო მასწავლებლებთან სწავლის საფასურის გადახდა. და ეს საფასური არც ისე მცირედი თანხაა, ყოველ შემთხვევაში, რეგიონში მომუშავე ჟურნალისტის შემოსავალს ბევრად აღემატება. ერთი საგნის მომზადება საატესტატო გამოცდისთვის 500 ლარია, ოთხი ასეთი საგანი, ზედ დამატებული უცხო ენები და მათემატიკა, რომლის საფუძვლიანი ცოდნა სამომავლიდ გაგვიადვილებს უნარების სწავლას... თვეში 400 ლარი მარტო მეტერთმეტე კლასში მყოფ ჩემს შვილს, მეორე შვილიც მყავს და ის მე-9 კლასში სწავლობს, მასაც აქვს ორი გამოცდა და უთქმელადც მიხვდებით, რომ ისიც ემზადება კერძო მასწავლებელთან. თითქმის 600 ლარი მჭირდება თვეში რომ პირნათელი ვიყო მასწავლებლებთან...“

გაგრძელება მე-2 გვერდზე

რა დაგიჯდებათ დასვენება საქართველოს ზამთრის კურორტებზე

საქართველოს ზამთრის კურორტებზე ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ტურ-ოპერატორების ცნობით, ყველაზე პოპულარული კურორტები გულაურის და ბაკურიანია, თუმცა ბოლო დროს მესტიამ წამსვლელების მსურველიც ბევრია. კომპანიების თქმით, სასტუმროებისა და კოტეჯების დაჯავშნა უკვე დაწყებულია.



როგორც კომპანია „ვიპ ლაინ ტრეველის“ ტურიზმის და მარკეტინგის მენეჯერმა, ნანა როსტომაიამ „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ზამთარში ქართველები ძირითადად უპირატესობას ბაკურიანს, გულაურსა და სვანეთს ანიჭებენ. „ყველაზე მოთხოვნილი გულაურია და ერთდროს ტურის ფასი აქ 20 ლარიდან იწყება და მოთხოვნების შესაბამისად მისი ფასი იზრდება. ბაკურიანში კი ფასები 25 ლარიდან იწყება. მესტიანზე მოთხოვნა ნაკლებია, იქ უფრო ექსტრემის მოყვარულები მიდიან. ქართველები ძირითადად ერთ და ორდღიან ტურებს ითხოვენ. თუმცა რამდენიმე დღის შემთხვევაში უფრო საოჯახო სასტუმროებს ირჩევენ.“

რაც შეეხება ფასებს, წელს გულაურში სასტუმროების ფასები 50 ლარიდან იწყება, მარშან მაგალითად 35 ლარი იყო. 6 კაციანი კოტეჯების ფასები უკვე 200 ლარამდე ღირს. დეკემბერში კიდევ უფრო გაიზარდება - აღნიშნა როსტომაიამ. „იმის გამო რომ თეთნულლი და გოდერძიანი ძვირი ჯდება, უპირატესობას ბაკურიანსა და გულაურს ანიჭებენ. აქ შესაძლებელია 1-3 დღიანი ტურებიც გაკეთდეს, ამიტომაც უფრო მეტი სარგებლობს. როგორც წესი ახალგაზრდები უფრო მეტად უპირატესობას კოტეჯებს ყველაზე პოპულარული კურორტებია - გულაური, ბაკურიანი, თეთნულდი, გოდერძიანი.“

ანიჭებენ, საშუალო ასაკის ხალხს კი კარგი სასტუმრო და კომფორტი იზიდავს. ერთდღიანი ტურები 15-20 ლარიდან იწყება. 5 დღიანი ტურები 180 ლარი ჯდება, რაშიც სასტუმრო, ორჯერადი კვება და ტრანსპორტირება შედის, - განაცხადა ზაურაშვილმა. როგორც „ლაზიკა ტრეველის“ წარმომადგენელმა, ქეთი პავლიაშვილმა „ბიზნეს-პრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ქართველები ძირითადად კოტეჯებს ითხოვენ, ხოლო უცხოელები სასტუმროებს. „ძირითადი მოთხოვნა გულაურსა და ბაკურიანზეა, ფასები დამოკიდებულია თუ რამდენი ხნით და რამდენი ადამიანი მიდის. ჯავშნები დაწყებულია და გრძელდება, - განაცხადა პავლიაშვილმა.

რაც შეეხება სასტუმროებისა და კოტეჯების ფასებს, ბაკურიანში შეგიძლიათ ნახოთ როგორც სასტუმროები ასევე ბინები, კოტეჯები და საოჯახო ტიპის სასტუმროები. შესაბამისად ფასებიც განსხვავებულია. სასტუმროების ფასები 50 ლარიდან იწყება და 400 ლარამდეც აღის. საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები კი 20 ლარიდან იწყება და 150 ლარამდე. რაც შეეხება კოტეჯებს, მისი ფასი 130-დან 800 ლარამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია ზომასა და კომფორტზე. გულაურის ფასები ბაკურიანისგან განსხვავდება. სასტუმროების ფასები 80 ლარიდან 300 ლარამდე მერყეობს. საოჯახო სასტუმროების ფასები კი 65-დან იწყება. კოტეჯის ფასები კი 150 ლარიდან 500 ლარამდე მერყეობს. სვანეთი შედარებით ახალი კურორტია და მოთხოვნაც ნაკლებია, თუმცა თავისი მომხმარებელი მაინც ჰყავს. სასტუმროების ფასები 60 ლარიდან 200 ლარამდე მერყეობს. საოჯახო სასტუმროებში დასვენებას კი 20-150 ლარად შეძლებთ.

წყარო: „ბიზნეს-პრესნიუსი“

საახალწლო სამზადისი ქუთაისში



ქუთაისში საახალწლო სამზადისი უკვე დაიწყო. მიმდინარეობს საახალწლო განათების დამონტაჟება. უკვე არსებობს საახალწლო ღონისძიებების პროგრამაც.

ქუთაისის მერიაში ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, ღონისძიებები 25 დეკემბრიდან დაიწყება და 13 იანვრამდე გაგრძელდება.

კერძოდ, იგეგმება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის მთავარი ნაძვის ხის განათება; საახალწლო ბაზრობა; საბავშვო ატრაქციონები; თოჯინების სახლის წარმოდგება ბავშვებისათვის; წლის საუკეთესო სპორტსმენების

დაჯილდოება; საახალწლო ზღაპრული ქალაქის გახსნა; ნიღბების თეატრის წარმოდგენა; საახალწლო კინოთეატრის გახსნა; სკეიტბორდისტების საახალწლო გამოსვლა; ფოტოზონის მოწყობა; საახალწლო ვალა-კონცერტი; კლასიკური მუსიკის საღამო; სპექტაკლი ოპერისა და ბალეტის თეატრში.

საახალწლო ფოიერვერკი; ნახატების გამოფენა; "კრეატიული ნაძვის ხეების კონკურსი; დაჯილდოება კონკურსი "კრეატიული ნაძვის ხე"; საშობაო მსვლელობა "ალილო"; საახალწლო საჩვენებელი წარმოდგენა ბავშვებისათვის;

ქუთაისის კულტურულ და სპორტულ ა(ა)იპებში დანესებული სწავლის გადასახადი გაუქმდა



ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, კულტურულ და სპორტულ ა(ა)იპებში დაწესებული სწავლის გადასახადი გაუქმდა. საკითხს დეპუტატებმა პირველ რიგად უმხრონენ უწყარვს კენჭი. აღნიშნულ თემისთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ ლატარია განმარტავს, რომ კულ-

ტურულ და სპორტულ ა(ა)იპებში სწავლის თანხის გაუქმება ქუთაისის მერის, გიორგი ჭილაძისა და წინასწარ ჩვენო დაპირება იყო, რომელიც უკვე შესრულდა.

საკრებულოს რიგგარეშე პირველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან შევა.

ჭიათურაელ საპატარძლოებს „მარი გოლდი“-მ სადედოფლო კაბები არუქა

ზემო იმერეთში, ჭიათურაში, დემოგრაფიული ფორუმი „მთა და ქორწინება“ გაიმართა. ამ დღეს ჭიათურის ქუჩებში ცნობილი სამოდლო სააგენტოების მოდელებმა და ჟურნალისტებმა საქორწილო კაბების დია ჩვენება მოაწყვეს, რომელიც შემდგომ ჭიათურის უძველეს თეატრში კიდევ უფრო დიდი ღონისძიებით გაგრძელდა.

ეს კრეატიული იდეა ცნობილი კომპანიის, „ქართული ბრენდი - მარი გოლდი“-ს დამფუძნებელს, თამარ ნადირაძეს ეკუთვნის. ღონისძიების ორგანიზებაც სწორედ ამ ორგანიზაციისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ინა ასანიძის თქმით, დემოგრაფიული ფორუმი ჭიათურაში ქორწინების წახალისების მიზნით გაიმართა.

ამ ღონისძიების ფარგლებში კომპანია „მარი გოლდი“-მ და ჭიათურაში ბიზნესმენმა ქალბატონმა ნანა ნოზაძემ ჭიათურის რიტუალების სახლს, პატივისცემის ნიშნად, საჩუქრად გადასცეს 70-მდე კაბა. ანუ ყველა გოგონას, ვინც იქორწინებს, სანამ საკმარისი იქნება ეს კაბები, რიტუალების სახლი, თავისი მაკიაჟითა და ვარცხნილობით საჩუქრად გადასცემს ამ კაბას ნებისმიერ პატარძალს. ეს არის ქორწინების წახალისებისთვის, რადგან შობადობა გაცილებით ნაკლებია ჩვენს რაიონში, ვიდრე სხვაგან.

რაკი თავად „მარი გოლდი“-ს დამფუძნებელი თამარ ნადირაძე ჭიათურელია და ჩვენი მერიც არის ნადირაძე, ეს თამარმა გავიკეთა საჩუქრად მუნიციპალიტეტის და ვფიქრობ, რომ ქორწინების წახალისებისთვის ეს არის ძალიან კარგი საჩუქარი. თითო კაბა 500-დოლარიანია, მინიმუმ“, - განაცხადა ინა ასანიძემ.

თეატრის სცენაზე ჭიათურის მერმა პაატა ნადირაძემ, ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სულხან მახათაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ინა ასანიძემ, კომპანია „მარი გოლდი“-ს თავმჯდომარემ თამარ ნადირაძემ და იურისტთა უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელმა ირმა კახიძემ 3 ხანზამულ და 3 ახლად დაქორწინებულ პირს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. „ყველაზე ლამაზი სცენაზე ამოხუთი ხანდაზმული წყვილები



იყვნენ, რომლებიც 50 წელი ერთად ცხოვრობენ. ახლად დაქორწინებულმა წყვილებმა კი პირობა დადეს, რომ მინიმუმ 3 შვილს გაუჩენენ ქვეყანას, - წერს სოციალურ ქსელში დემოგრაფიული ალორძინების ფონდის

ხელმძღვანელი, თამარ ჩიბურდანიძე - „საოცრად ლამაზ ღონისძიებას მუსიკალური ნომრებით კვარტეტი "ჭიათურა" აფორმებდა. ვფიქრობ, ეს დღე დიდხანს ემახსოვრება ქალაქს.“

ემიგრანტი დედა: მე რომ ემიგრაციაში ვარ, ამაში ლოშის წილი განათლების სამინისტროს მიუძღვის...

პირველი გვერდიდან

ბატონო მიხეილ, არ იფიქროთ პირად პრობლემაზე გაჯარგინებლეთ ძვირფას დროს. ეს პრობლემა დგას თითქმის ყველა ოჯახში, სადაც სკოლის მოსწავლეა. ამ პრობლემის გამო ძალიან ბევრმა დედამ დატოვა შვილები და გადმოიხვეწინ საზღვარგარეთ. ვინც ვერ გაიღო შვილის მომავლისთვის ეს შეუფასებელი მსხვერპლი, თავში ხელეხს იცემს და კრედიტებს იღებს ბანკებიდან იმის იმედად, რომ გამოჩნდება რაღაც. არიან ისეთებიც ვისთვისაც ეს თანხა პრობლემა არ არის და ამ თემზე საუბარი უაზრობად მიჩნია. თუმცა ასეთებს თავიანთი შვილები პრესტიჟული ე.წ. ფასიან სკოლებში დაჰყავთ.

ბატონო მინისტრო, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სკოლაში პროფესიონალი პედაგოგები არ გყავდეს, გყავს და არც ისე ცოტა. მაგრამ რა ხარისხით უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს, როცა იმის ფიქრითაა მოცული, როგორ იშოვოს საარსებო ფული. იმედია მოგეხსენებათ, რა სამარცხვინო ვასამარჯლოც

აქვით საჯარო სკოლებში პედაგოგებს. რადგან სახელმწიფომ უყურადღებოდ დატოვა ის ხალხი, ვის ხელშიც არის ქვეყნის მომავალი, მათაც იბოვებს გზა და „საშინაო სკოლები“ გახსნეს. მეც ასე მოვიქცეოდი, პედაგოგი რომ ვიყო. მართალია ბავშვობაში მეგონა, რომ მასწავლებელი საშემსს არ ჭამდა, მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი, რომ ისინი ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, მათაც იგივე პრობლემა უდგათ, როგორც ყველა დანარჩენს.

ბატონო მინისტრო, იმედია თქვენი განათლების და გამოცდილების პატრონს შეგვწვთ ძალ-ღონე და გამბედაობა იმისა, რომ ძირეულად შეცვალოთ განათლების სფერო. თქვენს ადგილზე, აუცილებლად გააუქმებდი საატესტატო გამოცდებს იმ დრომდე, ვიდრე სკოლაში განათლების დონე არ აიწევდა. გააუქმებდი უფუნქციო მე-12 კლასს, რამეთუ დამერწმუნეთ, არცერთი მეთერთმეტე კლასელი არ დადის სკოლაში, ყველა რეპეტიტორებთან დადიან. იმ ხელფასს, რომელსაც სახელმწიფო გასცემს მეთერთმეტე კლასის სწავლებისთვის წყალში გადაყრილი თანხა, არ

მგონია, ისე მდიდარი იყოს ჩვენი ქვეყანა, გადასაყრელი ფული ჰქონდეს.

პირადად კორუფციული განათლების სფეროს მსხვერპლი მშობელი ვარ, საკუთარ პროფესიაზე უარი რომ მათქმევინა და უცხო ქვეყანაში ბადანტეობა მომიხატა!!!

მინდა მჭეროდეს, რომ გულთან მიიტანთ ჩემს გულსტკივილს და დამეხმარებით სახლში დაბრუნებაში. გააუქმეთ საატესტატო გამოცდები და ამით ბევრ დედას დააბრუნებთ შვილებთან.

ბატონო მიხეილ, ჩემი სამშობლოში დაბრუნება თქვენს ხელშია!!!

ჟურნალისტის ამ წერილს რამდენიმე დღეში გამოეხმაურა საქართველოს განათლების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი. მან პირადად ტელეფონზე დაურეკა ემიგრანტ დედას.

ამ სატელეფონო ზარის შემდეგ, ლელა თოლორაძემ უფრო იმედიანი წერილი გაავრცელა სოციალურ ქსელში, სადაც წერს:

მინისტრმა ნახევარ საათზე მეტი მესაუბრა, მითხრა, გავეცანი თქვენს

ღია წერილს და ყველაფერში გეთანხმებითო. სამინისტროსძალიან ბევრი მუშაობა მოუწევს, სკოლა სასწავლო დაწესებულებას რომ დაამსავსოსო. მესაუბრა პედაგოგების გადამზადებაზე, სასწავლო პროგრამებზე, სახელმძღვანელოების შეცვლაზე. უკვე მიმდინარეობს ამ საკითხებზემუშაობა და გპირდებით, ყველა სახელმძღვანელოს პირადად გავეცნობითო. რაც შეეხება სკოლებში გამეფებულ კორუფციას და „საშინაო სკოლებს“, სასწრაფო წესით მოხდება ამ ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი ზომებიიქნება მიღებულიო. დიას, ბატონო მინისტრო, თქვენ ღირსება უნდა დაუბრუნოთ ქუთაისის პირველ საჯარო სკოლას, სკოლას, რომელმაც მეოცე საუკუნის გრანდები აღზარდამეთქი. ღირსება უნდა დაუბრუნოთ ყველა სკოლას, რომელიცკორუფციამა ჩაფლული... თითქმის ყველა ე.წ. პრესტიჟული სკოლა ორმაგი სტანდარტებით ასწავლის-მეთქი.

გპირდებითო, ყველა ის კანონდარღვევა იქნება გამოვლენილი და შესაბამისი ღონისძიებები გატარდება. ჩემი მიზანიც ესააო...

ემიგრანტი დედისა და მინისტრის საჯარო საუბრებს ჯერჯერობით ის შედეგი მოჰყვა, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მოიწონა ლელა თოლორაძის გამბედაობა, ხოლო მეორე ნაწილმა ძალიან ბევრი ტალახი ესროლა ლელას და მის შვილებს.

სამინისტროდან რეაგირება კი ჯერჯერობით მხოლოდ ის იყო, რომ ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში აუდიტი შევიდა შესამოწმებლად და იმავე დღეს უკანვე კმაყოფილი გამოვიდა, არანაირ დარღვევას ადგილი არა აქვსო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ბადრი ვაშაიძემ მედიას განუცხადა, რომ აუდიტის შესვლა პირველ სკოლაში სწორედ მშობლის წერილს უკავშირდებოდა, ხოლო თავად განათლების სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეს გვეგმიური შემოწმება იყო და არანაირ წერილთან კავშირი არ ჰქონდა.

კახაბერ მახათაძე: „ყველა რესურსს გამოვიყენებ, რომ ზესტაფონის ისტორიაში ჩემი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწეროს“

დაიბადა 1965 წლის 21 თებერვალს ქ. ზესტაფონში. 1982 წელს დაამთავრა არგვეთის საჯარო სკოლა. 1988 წელს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი, მეღვინეობის ტექნოლოგიის სპეციალობით. 1995 წელს – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1988-1998 წლებში მუშაობდა თბილისის შამანურის ქარხანაში ინჟინერ ტექნოლოგად; 1998-1999 წლებში იყო ხაშურის ძეგულისა და ნაყინის ქარხნის დირექტორი; 1999-2003 წლებში ეკავა საქართველოს საპატრიარქოს „ხაშმის“ ღვინის ქარხნის დირექტორის თანამდებობა; 2003-2011 წლებში იყო საპატრიარქოს აგრო-სამრეწველო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2009-2010 წლებში საპატრიარქოს წარმომადგენელი სამთავრობო კომისიის წევრი; 2011 წლიდან კვლავ საქართველოს საპატრიარქოს „ხაშმის“ ღვინის ქარხნის დირექტორია; ფლობს რუსულ ენას; ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

„ნუ ნერვიულობ, უფლის ნებით, ყველაფერი კარგად იქნება, მე შენს შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება“ - ასე მისცა პოლიტიკაში ჩართვის კურთხევა „ქართული ოცნების“ ზესტაფონის მერობის კანდიდატს, კახაბერ მახათაძეს უწმინდესმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შედეგად, ბატონი კახაბერ მახათაძე უკვე ზესტაფონის მერია და სჯერა, რომ ზესტაფონის ისტორიაში მისი სახელი და გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერება.

ჩვენი ამჟამინდელი ინტერვიუს მთავარი მიზანია, საზოგადოებას გავაცნოთ, ბატონი კახა მახათაძის წარსული, მისი ოჯახი თუ დღემდე გაკეთებული საქმეები.

დილოგი

- ბატონო კახა, ბაბუთაქვენი ცნობილი ექიმი იყო, ოჯახში არ სცადეს, რომ თქვენც მისი პროფესია აგროჩაიო?

- ზესტაფონში, მშრომელი ხალხის ოჯახში გავიზარდე. მამა ინჟინერი იყო, დედა - აგრონომი. ბებია-ბაბუაეც ზესტაფონში ცხოვრობდა და ბაბუს, ოთარ გორგაძეს, ყველა იცნობდა - წლების განმავლობაში ზესტაფონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ვახლდით. ნამდვილად იყო მცდელობა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ ჩემგან კარგი ექიმი არ დადგებოდა. მე ყოველთვის მინდოდა, მეღვინე ვყოფილიყავი, საკმაოდ დიდხანს ვმალავდი ჩემს გადაწყვეტილებას. საბოლოოდ, ოჯახიც შეეგუა, როცა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ჩავაბარე. თავად მამა ინჟინერი იყო, დედა კი აგრონომი, მშრომელი.

- ბატონო კახა, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებს როგორ აფასებთ და რამდენად უწყობს ისინი ხელს სხვადასხვა დარგის დანერგვას?

- ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი რეფორმა გაატარა. კარგი საქმე კეთდება. სხვათაშორის, ამ სფეროს მიმართ მთავრობის ასეთმა დამოკიდებულებამ გადაგვაწყვეტინა ძველ მეგობრებს, ჩამოგვეყალიბებინა კომპანია, რომელიც დღეს ღვინის მწარმოებელი

კომპანიების სამეულშია.

- ღვინის ქარხნის მართვის საკმაოდ დიდი გამოცდილება გქონდათ. წლების წინ, ხაშმის ღვინის ქარხნის დირექტორად ვისი გადაწყვეტილებით დაინიშნეთ?

- უწმინდესის. ხაშმის ღვინის ქარხანაში 1999 წლიდან ვიმუშავე. როცა ეს შემთავაზება მივიღე, შამანურის ქარხანაში ვმუშაობდი და, სიმართლე გითხრათ, წამოსვლას არ ვაპირებდი. თუმცა, რა თქმა უნდა, საპატრიარქოში შეხვედრახე წავედი. მაშინ საფინანსო ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე მამა ზენონი იყო, რომელიც დღეს უკვე მთავარეპისკოპოსია, ჯერ მას გავეცაუბრე, შემდეგ კი უწმინდესთან შევედი. მაშინ პატრიარქი პირველად ვნახე და ისე დავიბენი, რა უნდა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. 5 წუთში ჩემს შესახებ ყველაფერს გამოკითხვა მოასწრო, ბოლოს წამოძვრა და მამა ზენონს უთხრა, ამ ადამიანზე დაწერეთ ბრძანება და დანიშნეთ ხაშმის ღვინის ქარხნის დირექტორად!“. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მაღლობა უფალს, რომ ასე გადაწყდა ყველაფერი.

- ამის შემდეგ უწმინდესთან შეხვედრა ხშირად გიწვევდათ?

- ამის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ალბათ, მხოლოდ 3-4-ჯერ შეხვედით. მასხოვს, ერთხელ, უცხოეთიდან ბრუნდებოდა და აეროპორტში დაეხვდა. ჩემთან ერთად უამრავი ადამიანი იყო. უწმინდესი გამოემართა პირდაპირ ჩემსკენ, თვალში შეომხედა და მკითხა: „როგორ ბრძანდებით?“ ვერც ამჯერად მიხვდი, როგორ უნდა მოგქცეულიყავი. არც კი მასხოვს, რა ვუპასუხე, იმდენად არ ველოდი მის უშუალო დამოკიდებულებას. ხელზე ვემთხვიე და მოვიკითხე. იმის შემდეგ ხშირად მიბარებდა საპატრიარქოში. მოგვიანებით, გადმომიყვანა კიდევ სამუშაოდ და აგრომომართულება ჩამაბარა. მაშინ არც დავცა ჰყავდა. მე და 2-3 სასულიერო პირი ვიყავით მუდმივად. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ხალიჩაზეც გვძინებია. მასხოვს, დილას, 6 საათზე გამოვიდოდა ხოლმე უწმინდესი და დავიძახებდა: „ლოცვა!“ და ჩვენც ვლოცულობდით. რაც შეგვეძლო, სოფლის მეურნეობა განავითარეთ, ძალიან ბევრი



ზესტაფონის მერი კახაბერ მახათაძე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან ერთად

ხალხი დავასაქმეთ, აღვადგინეთ რამდენიმე ფერმა, თევზსაშენი. ბევრი მიწა დამუშავდა ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პროგრამები ამოქმედდა და საპატრიარქოც ჩაერთო პროცესებში. ამდენი მოხსული მიწა, რაც 2012 წლის მერე ვნახე, მანამდე არ მენახა. სოფლის მეურნეობის ძალიან ბევრი პროდუქტი მოგყავდა. ეს მოსავალი, ძირითადად, მონასტრებს ურიგდებოდა და საპატრიარქოს მალაზიებშიც შედიოდა.

- და ამ მშვიდი, მაღლიანი საქმის კეთებისას, პოლიტიკით რატომ დაინტერესდით?

- საპატრიარქოში სამთავრობო კომისიის წევრი ვიყავი, სადაც 12-13 კაცი იყო და მათგან, საერო პირი მხოლოდ მე ვახლდით. სახელმწიფოსთან ურთიერთობა, ძირითადად, მე მევალებოდა. უმეტესად, საქმე საპატრიარქოსთვის ქონების გადმოცემას ეხებოდა და, სხვათაშორის, ხშირად ამ საკითხით რომ მანიპულირებენ, ეს ასე იოლად არ ხდებოდა. ძალიან დავაც გვექონდა. მარტივად არ აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნებს. რაც შეეხება პოლიტიკას, 2011 წელს ყველანი გვრძნობდით, რომ მართლაც ცვლილების დრო იყო. მაღლობა უფალს, ასე მოხდა და კარგად დასრულდა ყველაფერი. დიდი იმედოვნად ვამიხნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ივლის სწორი გზით და იქნება წარმატებული. თუმცა ეს შემთავაზება, ვეჭვი მეყარა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მე-

რობისთვის, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

- გადაწყვეტილების მიღებაში უწმინდესის ხომ არ დაგხმარებიათ?

- სიმართლე გითხრათ, როცა შემთავაზება მივიღე, პასუხი არ მითქვამს, დრო ვითხოვე. უწმინდესი თბილისში არ ბრძანდებოდა. აუცილებლად უნდა მენახა. მით- უმეტეს, აღრეც იყო რამდენიმე შემთავაზება და უწმინდესმა ბევრჯერ უარი მითხრა. მეუბნებოდა: „სადაც ხარ, შესანიშნავად ასრულებ შენს საქმესო!“ ჩემი ოჯახის წევრები ფიქრობდნენ, რომ ამჯერადაც იგივეს გაიმეორებდა. დილით ჩავფრინდი უწმინდესთან, ვუთხარი, ძალიან ვნერვიულობ, ასეთი შემთავაზება მივიღე-მეთქი. კონკრეტულად რა თანამდებობაზე საუბარია, მკითხა: „მე შენს შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება და ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად იქნება!“

- უწმინდესის კურთხევით, რა კარგი საქმეების გაკეთება გეგმავთ ზესტაფონში?

- ვიღებ უდიდეს პასუხისმგებლობას იმ ხალხის წინაშე, ვისთან ერთადაც ვავიზარდე. მათი გულსიტკივილი, პრობლემები და გამოწვევები კარგად ვიცი. ზესტაფონში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტია დაწყებული. მათ აუცილებლად ბოლომდე მივიყვან. დასრულებდა სოფლების გაზიფიცირება. რამდენიმე სოფლის გზა მოსაწესრიგებელი. ზესტაფონის მუნიციპა-

ლიტეტში დასაქმება დიდი პრობლემა. აქ სამუშაო ადგილების დიდი რესურსია. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ სოფლის მეურნეობას. მზად ვარ ერთი რამისთვის - რაც შეიძლება მეტი გავაკეთო ჩემი მუნიციპალიტეტისთვის. ჩემს ყველა რესურსს გამოვიყენებ, რათა ზესტაფონის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩავეწერო.

მახათაძის დიდი მოახის 33-წლიანი ისტორია

ზესტაფონის მერის, ბატონი კახა მახათაძის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მისი მეუღლე, ქალბატონი ნატო შავლაყაძეა, რომელიც დღეს „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ცენტრს“ ხელმძღვანელობს. 33-წლიანი თანაცხოვრების მთავარი საიდუმლო სიყვარულია. ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს მაშინ, როცა ბატონი კახა მეღვინეობას ეუფლებოდა, ქალბატონი ნატო კი - დაკონსერვების ტექნოლოგიას.

ჯუფელები იყვნენ და ბატონმა კახამ პირველივე დღეს შეიტყო, რომ ნატო მძლეონობაში საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის, რობერტ შავლაყაძის ნებიერა ქალიშვილი იყო. პირველი კურსის დასრულების შემდეგ შეყვარებულმა წყვილმა დრო იხელეთა და მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკოსის კათედრის გამგე დასასვენებლად წავიდა, ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს და „გაიპარნენ“. სხვათაშორის, ამ ამბავს ერთი ისტორიაც ერთვის, რომლის გახსენებისას, დღესაც გულთანად ეკინებათ - ქალბატონი ნატოს დედა სვანია, თამარ კვიციანი, პროფესიით ექიმი, დაირჩინენ კვიციანები ბატონ რობერტთან, რომ ქალიშვილის გაპარვის ამბავი შეატყობინონ. მისვლისთანავე, ნატო აღარ გვეყავს, მიხალეს. მუხლი მოეკვთა ბატონ რობერტს და სისხლი გაეყინა, სანამ აუხსენს, რომ სინამდვილეში ნატოს გაპარვაზე იყო საბუარაი. ამ ამბავს ზესტაფონელი ახალგაზრდა ბიჭისთვის, რომელმაც გაბედა და შავლაყაძის ქალიშვილი „გაიტაცა“, ალბათ, დადებითი მხარეც ჰქონდა - ბატონი რობერტი ისე აღარ განიხსნა, როგორც ელოდნენ. სხვათაშორის, რამდენიმე თვის წინ ცნობილი გახდა, რომ გამოკითხვით, დიღუბის მოსახლეობამ, 2017 წლის ყველაზე სასახლო პიროვნებად სწორედ რობერტ შავლაყაძე დაასახელა.

მახათაძეების წყვილს 3 ვაჟი ჰყავს. უფროსი, 32 წლის გიგი, ტელეოპერატორი, ტელერეჟისორი და იურისტი. 14 წლიდან სხვადასხვა ტელევიზიაში მუშაობს და მე-9 არხის შემქნაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. გიგის მეუღლე - ნინო კვიციანი ექიმა, წყვილს 1 შვილი ჰყავთ; მეორე ვაჟი, 25 წლის თორნიკე, ბიზნესის მართვის სპეციალისტად დაეუფლა და მამის ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელია. თორნიკეც დაოჯახებულია და ქეთევან კილტავასთან ერთად 2 წლის შვილს, პატარა კახაბერ მახათაძეს ზრდის. მესამე ვაჟი 17 წლისაა და აბიტურიენტი.

ბატონი კახა საუბრისას გამოვიტყდა, რომ მამის გადაწყვეტილება გიორგის ყველაზე ნაკლებად ესაიბოვნა, რადგან ზესტაფონში იქნებოდა და ოჯახისთვის ნაკლები დრო დარჩებდა. უფროსი შვილი გიორგი, 6 წლამდე ზესტაფონში იზრდებოდა, ბებია-ბაბუსთან. მახათაძეების ოჯახს ზესტაფონთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. გიორგის განსაკუთრებით უყვარს აქაურობა. უამრავი მეგობარი და ნაცნობი ჰყავს. დარწმუნებულია, 4 წლის შემდეგ თითოეული მათგანი ეტყვის, რომ ზესტაფონი არ შეცდა, მუნიციპალიტეტის მერის პორტფელი კახა მახათაძის რომ ანდო.

გიატერინე ლუგლაძე



კახა მახათაძე და მუხომანაძე ერთად



ოჯახი



ზურაბ ხაბეიშვილი:

„ქუთაისში არ არსებობს ქურა, ჩიხი, საღარბაზო, საღაც ჩემი პაციენტები არ ცხოვრობენ“

„საზოგადოებრივი ფონდოსკოპის“ კვირის სტუმარია დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის ძვალ-სახსართა ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი ზურაბ ხაბეიშვილი.

პროლოგის მაგივრად

ზურაბ ხაბეიშვილი დაიბადა 1959 წლის 25 მაისს ქალაქ ტყუბულში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, თუმცა ქალაქ მხოლოდ 2 წელი ისწავლა და რუსეთში გადავიდა სასწავლებლად. თავდაპირველად განაწილებით მუშაობდა ულანოვსკში, ე.წ. ინტერნატურაში, სადაც მიენიჭა ჯერ ქირურგის, ხოლო შემდეგ ტრავმატოლოგის კვალიფიკაცია. 1984 წელს დაბრუნდა საქართველოში და 1988 წლამდე მუშაობდა ავტოქარხნის "მელსან"-ში. შემდეგ კი სწავლაც და მუშაობაც თბილისის ორთოპედისა და ტრავმატოლოგიის ცენტრში გააგრძელა.

როგორც დღეს ზურაბ ხაბეიშვილი იხსენებს, საბჭოთა პერიოდის საქართველოში ორთოპედია და ტრავმატოლოგია ძალიან მაღალ დონეზე იყო. საბჭოთა კავშირში უამრავი კვლევითი ინსტიტუტი არსებობდა, მაგრამ კვლევითი ცენტრის სახელწოდებით სულ რამდენიმე იყო, ერთ-ერთი კი თბილისში, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ორთოპედ-ტრავმატოლოგი, აკადემიკოსი ოთარ ლულუშაური. მისი სახელსაც ატარებს დღეს ის საავადმყოფო, რომელსაც სიცოცხლეშივე გაუწვია მოღვაწეობა.

ამ დიდი გამოცდილების მიღების შემდეგ ზურაბ ხაბეიშვილი ქუთაისში დაბრუნდა და მუშაობა ქალაქის პირველ საავადმყოფოში დაიწყო, რომელსაც ახლანაკლებს საავადმყოფო ჰქვია. 2005 წლიდან კი დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრში ტრავმატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელია.

ჰყავს მეუღლე ქეთევანი და 2 ვაჟი, დავითი და ირაკლი.

აღსანიშნავია, რომ ირაკლიმაც, მამის მსგავსად, ორთოპედ-ტრავმატოლოგიის პროფესია აირჩია, თუმცა, ბატონი ზურაბი ამის წინააღმდეგი იყო.

ეს დარგი ძალიან მძიმე და სტრესულია. როგორც მშობელი, არ მინდოდა, ირაკლი ამ ვაზას ვაპყრობო, მაგრამ მისი დაჯინებული სურვილით მაინც გახდა ორთოპედ-ტრავმატოლოგი - გვიტხრა საუბრისას ზურაბ ხაბეიშვილმა და ჩვენი ინტერვიუც ამ თემით დავიწყეთ.

დილოგი

- ბატონო ზურაბ, თქვენ რატომ აირჩიეთ ტრავმატოლოგია?

- ბავშვობიდან მაინტერესებდა ხატვა, ძერწვა, მქონდა მოკულობითი წარმოსახვის უნარი. ამ პროფესიას ახლაც ეს მახასიათებლები, რადგან საქმე ვაქვს ისეთ ქუთუბლებთან, რომელიც ხელოვნებას უტოლდება. მე არ მომწონს თვითონ სიტყვა „ტრავმატოლოგი“, ის არ არის ზუსტი შესატყვისი ჩვენი დარგისა. ჩვენთან რატომღაც მიღებულია, რომ ძვალ-სახსართა ქირურგს ჰქვია ტრავმატოლოგი. წესით, ჩვენ ვართ ძვალ-სახსართა ქირურგები. „ქირურგია“ კი ნიშნავს „ხელსაქმეს“.

- რამდენად რთულია ამ "ხელსაქმის" კეთება?

- ძალიან რთულია, რადგან არ შეიძლება ადამიანი მექანიკურ არსებად აღვივდეთ, რომელიც შედგება 280 ძვლისგან, რომელთა გადაბმა, დამაგრება, გასწორება მეხორციების საშუალებების გამოყენება და ა.შ. შენ ისწავლე. ამ "მანქანის" უკან დგას ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი სულიერი სამყარო, ჰყავს

ოჯახი, ახლობლები, თავისი სოციალური ადგილი უჭირავს საზოგადოებაში და შენ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. ოპერაცია არ არის რაღაც მანქანის ნაწილის გამოცვლის მაგვარი ქმედება.

- ამ გადასახედიდან ხომ არ ნანობთ, თქვენი ცხოვრება მედიცინას რომ დაუთმეთ და დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რომელ პროფესიას აირჩევდით?

- არა ნამდვილად არ ვანანობ. მე ვთვლი, რომ მედიცინა ხელოვნების და მეცნიერების გასაყარზე დგას. ორივესკენ მქონდა მიდრეკილება. ალბათ, სწორედ ამიტომ აღმოვჩნდი მედიცინაში.

სამედიცინო სფერო რომ არა, ხელოვნების რომელიმე დარგს - ბილის ან რეჟისურას ავირჩევდი. მიუხედავად დროის სიმცირისა, ზოგჯერ, როდესაც მუზა მეწვევა ხოლმე, ვხატავ ან ნოველებს ვწერ. იმედის ვიტოვებ, რომ როდესაც პრაქტიკულ საქმიანობას დაეასრულებ, აქტიურად მიუღებურდები ჩემს საყვარელ წერას და ხატვას.

- თქვენ მოღვაწეობა მოგიწიათ ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში, როგორ ახერხებდით ამ დროს პროფესიულად განვითარებას?

- ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ორ რადიკალურად განსხვავებულ საუკუნეს მოვესწარი. რაც ფანტასტიკად მიგვიჩნდა მე-20 საუკუნეში, დღეს აბსოლუტურად ხელმისაწვდომია ქუთაისის საავადმყოფოებში. ავადმყოფი ამას ხშირად ვერ ხვდება. მე კარვად მახსოვს, ბარძაყის მოტეხილობით თვეობით იყვნენ პაციენტები მიჯაჭვული საწოლს. მახსოვს, ფიზიოლოგიური ხსნარის არ არსებობის გამო, ავადმყოფებს ინტრავენურ ინფუზიას ვუკეთებდით ფარცხანაყა- ნევიდან ბოცილ მოტანილი წყაროს წყლის სტერილიზაციითა და მაღაზიაში ნაყიდი სუფრის მარილის ერთმანეთში შერევით, რასაც ზოგჯერ გართულებებიც მოყვებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო სხვაგვარად მუშაობა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, ოპერაცია სანთლის შუქზე გაეკეთებოდა. მოგვიანებით წინ წავიწვიეთ და ე.წ. "დევიოკები" გაჩნდა. მთელი საოპერაციო გაბურთული იყო გამონაბოქვით, თუმცა, სხვა გზა არ გვქონდა, უნდა ვგეტყუებო. დღეს კი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საოპერაციოები გვაქვს, სადაც სტერილური პაერის ლამინარული დინებაც აღარავის არ უჭირს.

- როგორ მოახერხეთ ამ რთულ გარემოში კარიერულად ასე განვითარება? ვინ იყვნენ ის კოლეგები, რომლებიც მეგობრულ თანამშრომლობას და დახმარებას გთავაზობდნენ?

- მედიცინა ზიარტუტის პრინციპითაა. დედამიწის რომელიმე წერტილში თუ განვითარდა, ის შენს ქვეყანაშიც შემოაღწევს. როდესაც საზღვარგარეთ ვუყურებდი, რა დონეზე იყო ჩვენი მიმართულება, მეგონა, რომ ამ დონეს ჩვენი ქვეყანა ვერასდროს მიაღწევდა და ვული მიწყებოდა.

ამერიკაში, ლოს-ანჯელესში არსებობს ტრავმატოლოგიური და ორთოპედული განათლების მსოფლიო ცენტრი, რომელსაც ფილიალები აქვს მთელს მსოფლიოში, მათ შორის - საფრანგეთშიც. საფრანგეთის ცენტრის მენტორი იყო ძალიან ცნობილი ტრავმატოლოგი- ორთოპედი ჟან-პიერ დიუბოსი, რომელიც შემთხვევით გავიცანი 90-იანი წლების დაქველ ქუთაისში. მან მიმიწვია თავის ქვეყანაში, კვალიფიკაციის



ზურაბ ხაბეიშვილი

ასამაღლებლად. ერთხელ ჟან პიერმა მითხრა, ყოველთვის უნდა იქონიო იმედი, რომ შენს ქვეყანაშიც განვითარდება მედიცინა.

როდესაც ორდინატურას ვამთავრებდი თბილისში, 1991-ში, უკვე არეულობა დაიწყო. ამ დროს ლატვიიდან ჩამოვიდა ექიმი ვალდის ზატლერსი, რომელსაც განათლება ამერიკაში ჰქონდა მიღებული. მისმა თანამემამულემ, ცნობილმა ტრავმატოლოგმა, ბერტრამ ზარინმა წიყყანა ამერიკაში და შესწავლა ანთროსკოპიული მეურნალობის მეთოდები (მუხლის სახსრის გაუჭრელად მეურნალობა). ზატლერსმა გახსნა სასწავლო ცენტრი ლატვიელი ექიმებისათვის, სადაც ამ მეთოდს ასწავლიდა. ჩვენ მოვიწვიეთ თბილისში ვალდის ზატლერსი, მან გააკეთა საჩვენებელი ოპერაციები და გაოცებული დავჩნდი, რადგან წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რომ 2 მილიმეტრიანი განაკვეთით შესაძლებელი იყო მუხლის სახსარში შესვლა და უსისხლო ოპერაციის წარმოება. იმდენად მომწუსხა ამ ყოველივემ, რომ ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა ამ აპარატურის შექმნა. მან მითხრა, შექმნა არაა პრობლემა, მთავარია, რომ მათი გამოყენება იცოდნენ. მან შემთავაზა რიგში ჩასვლა. მართლაც წავედი რიგში საკუთარი ხარჯებით, ვაღიერე ზატლერსმა შემსწავლა ეს მეთოდი და მომცა საშუალება, რომ პირველად დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში დამეწერა ანთროსკოპიული მეთოდით მეურნალობა. ძალიან რთული იყო ამ მეთოდის საკუთარი ინიციატივით დანერგვა, რადგან მეორადი ინსტრუმენტების შექმნაც კი ძალიან გვიჭირდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი დამოუკიდებელი ლატვიის პირველი პრეზიდენტი გახდა შემდგომში.

საერთოდ, მედიცინას საზღვრები არა აქვს. ცნობილი ექიმები ყველა ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ვალდის ზატლერსი ბერტრამ ზარინის გაზრდილი იყო. ბენტრამ ზარინის მეორე მოსწავლე, რაიმონ კუვატი, საფრანგეთში გუნდის, ბარსას მთავარი ექიმი. ჩვენ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ისინი ჩემზე ცნობილები არიან, მაგრამ მე მათ მასწავლებლებად მივიჩნევ და ვაფასებ მათ საქართველოსადმი დამოკიდებულებას. მათი ინიციატივით ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდამ შეძლო სწავლა უცხოეთში, მათ შორის, ჩემმა ვაჟმა, ირაკლიმაც, რომელიც ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან, კუვატის კლი-

ნიკიდან. არერთხელ გადმოვცეცს უსასყიდლოდ ძვირადღირებული ინსტრუმენტები და ა.შ.

- ბატონო ზურაბ, როგორ ახერხებთ ამ რთულ პროფესიასთან ერთად, იყოთ კარგი თამბაქო და მუსიკოსი?

- თავისთავად მოდის. ამასწინათ, მეუღლემ მითხრა, ან საოპერაციო მაგიდასთან ხარ ან საქეფო მაგიდასთან. მე ვუპასუხე: არ შეგეშინდეს, არცერთგან არაფერი არ მომივა, მთავარია, გზაში არაფერი დამემართოს-თქო.

- როგორც ვხვდებით, საკმაოდ კარგი იუმორი გაქვთ. რა დოზით იყენებთ იუმორს მედიცინაში?

- ექიმისთვის იუმორის გრძნობის ქონა აუცილებელია. ვიცი, რომ ექიმსაც და პაციენტსაც უწევთ ჩვეულებრივსგან განსხვავებულ, სტრესულ გარემოში ყოფნა. ამ დროს იუმორი გეხმარება, ხელი შეუწყობს ადამიანებს შინაგანი განცდების შემსუბუქებაში. შეიძლება, ექიმის ერთმა გალიბებამ ბევრ წამალზე უკეთ იმოქმედოს. მეც ყოფილვარ პაციენტი და როდესაც ამ კუთხიდან შემხედავს სხვა კოლეგისთვის, გული ყოველთვის იმ ექიმისკენ მიმიწევდა, რომელიც უფრო თბილი, უბრალო და უშუალო იყო.

- ბატონო ზურაბ, თქვენ საკმაოდ დიდი და საინტერესო სამედიცინო პრაქტიკა გაქვთ. თუ შეიძლება, გაიხსენეთ ის შემთხვევა ან პაციენტი, რომელმაც თქვენი პროფესია განსხვავებული კუთხით დაგანახათ.

- უამრავი რამ მახსენდება. ერთ-ერთს გამოვყოფ. 90-ან წლებში ქუთაისში ერთ ოჯახს თავს დაესხა ყაჩაღთა ჯგუფი. ეს ოჯახიც შესაბამისად მომზადებული დახვდა, რადგან იმ პერიოდში მსგავსი ამბები აღარავის უყვირდა. თავდასხმელებსა და ოჯახის უფროსს შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება. საბოლოოდ, ერთ-ერთი დაზარალებული თავდასხმელი და ოჯახის უფროსი მოხვდნენ ჩვენთან საავადმყოფოში, მეუბნებო პალატებში. ყაჩაღს ბადრაგი ედგა თავზე, მეორე დაზარალებულს კი ოჯახის წევრები პატრონობდნენ. შესაბამისად, მასთან მოკვდილად უამრავი საკვები. მე, როგორც ექიმს, ცხადია, მქონდა ორივე პალატაში შესვლის უფლება. დაყაჩაღებული ოჯახის პატრონი მის დამაყაჩაღებელთან საქმელს მატანდა, ის ყაჩაღი კი მაღლიერების ნიშნად, სივარეტს უგზავნიდა იმ კაცს, რომელიც რამდენიმე საათის უკან ლამის მოსაკლავად გაიშტა. ამ შემთხვევამ ყველაზე კარგად დამანახა

ქართული ხასიათის კეთილშობილება. - უხეშად რომ დავთვალოთ, რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული?

- მალე 60 წლის ვხდები და მინდოდა, ჩემი სტატისტიკისთვის გადამეხედა. ჩემმა "აბჯართმატა- რებელმა", საოპერაციოს ექთანმა, ქალბატონმა მზია ფხაკაძემ, რომელიც ყველა ოპერაციაზე მე- მარეზა, დავალო ჩემი გაკეთებული ოპერაციები. 30 წლის განმავლობაში, დაახლოებით 10 000 ოპერაცია გამოვიდა. ფაქტობრივად, ქუთაისში არ არსებობს ქურა, ჩიხი, საღარბაზო, საღაც ჩემი პაციენტები არ ცხოვრობენ - როგორც აღნიშნეთ, თქვენი პროფესია ძალიან რთული და სტრესულია, როგორი განცდა გაქვთ, როდესაც პაციენტის გადარჩენას ვერ ახერხებთ?

- ტრავმატოლოგიის მაღალი ლეტალობა (სიკვდილიანობა) ახასიათებს. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით პირველი ადგილზეა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მე-2 ადგილზეა სიმსივნური დაავადებები ანუ კიბო, მე-3 ადგილზეა ტრავმა. მაგრამ თუ ადამიანის შრომისუნარიან ასაკს განვიხილავთ, ტრამვა გადმოდის პირველ ადგილზე. სამწუხაროდ, ჩვენ პროფესიაში ამას ვერ გავიქვეყი. ჩათვალეთ, რომ როგორც თავის პატრონს მოუკვდა ის კონკრეტული ადამიანი, ისე გიკვდება შენც. ამას არ ვამბობ პათეტიკურად. ექიმისთვის ეს საშინელი მარცხი და სტრესია.

- ბატონო ზურაბ, თქვენ ქუთაისისთვის ძალიან საყვარელი და კოლორიტული ადამიანი ხართ. თქვენთვის რას ნიშნავს ქუთაისი, რა სტატუსი აქვს მას?

- ალვეგორიულად რომ ვთქვათ, ქუთაისის მაწვნის დღეს ვაღიარებ. აქ იბადებიან და იზრდებიან ის ადამიანები, რომლებიც შემდეგ თბილისში წარმოაჩენენ საქართველოს სპორტს, ხელოვნებას, მეცნიერებას თუ კულტურას. ასე იხდის ქუთაისი ჩვენი ქვეყნის ვალს.

- ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა გკითხოთ, რომელია თქვენი საყვარელი წიგნი და ფილმი?

- კონკრეტულად რომელიმეს გამოყოფა მიჭირს, ძალიან მიყვარს რეზო გაბრიაძის შემოქმედება. "საშობაო გაბრიაძის" "საშობაო მოთხრობები". შავთეთრი ქართული კინო და იტალიური ნეო-რეალიზმის ამსახველი ფილმები მიყვარს.

ბატონ ზურაბთან საუბარი ძალიან საინტერესო გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივად სხვადასხვა თაობას ვეკუთვნით, ჩვენი გემოვნება მწერლებთან დაკავშირებით ვადაკვდება. შეუძლებელია, არ შეგეცავარდეს რესპონდენტი, რომელიც რეზო გაბრიაძის "საშობაო მოთხრობაზე" გესაუბრება. ერთი წამით ისიც კი ვიფიქრე, ჩემი რესპონდენტი ხომ არ არის ამ მოთხრობის პერსონაჟი, თავის პაციენტებზე გადასვლით ექიმი იაშა-თქო, რომელიც "ხანის სუნსაც კი ვერ აყენებდა ოჯახში შობაზე". მიუხედავად იმისა, რომ ახლა შობა არაა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ წერილით რაღაც გაბრიაძისულს ვაკეთებ, ჩემს წილ ვალს ვიხდი ქუთაისის ღირსეული ექიმის წინაშე. როგორც ცნობილია რეზო გაბრიაძემ აღნიშნული წიგნი ("შეთხველი გამოთენისისა - საშობაო მოთხრობა") თავის მეზობლებს, ექიმებს, გიორგი ლორთქიფანიძეს და გიორგი წერეთელს მიუძღვნა.

ლიკა ლევდარიანი